

განმწესრიგებელი სხდომის

განჩინება №2/23/1796

2025 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი მოდებაძე – წევრი;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: სოფია კობახიძე.

საქმის დასახელება: გიორგი არსენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლისა და 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით; ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში.“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 4 სექტემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1796) მომართა გიორგი არსენიძემ. №1796 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, გადმოეცა 2023 წლის 7 სექტემბერს. №1796 კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2025 წლის 25 დეკემბერს.

2. №1796 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი, 31¹ მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეების ჩამონათვალს რიგითობის მიხედვით. ამავე კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის



თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია საჯარო ინტერესებისათვის, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

5. №1796 კონსტიტუციური სარჩელიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მამკვიდრებლის, ზეინაბ ქარუმიდის შორეულ სისხლით ნათესავს, რომელიც არ ექცევა კანონით განსაზღვრულ მემკვიდრეთა წრეში. კერძოდ, მოსარჩელის, გიორგი არსენიძის ბებია და მამკვიდრებლის, ზეინაბ ქარუმიდის ბებია იყვნენ დები. გარდა სისხლით ნათესაობისა, გიორგი არსენიძისა და ზეინაბ ქარუმიდის ოჯახებს შორის არსებობდა მრავალწლიანი მჭიდრო ოჯახური კავშირი. ამასთანავე, გიორგი არსენიძე მთლიანად განაგებდა ზეინაბ ქარუმიდის საოჯახო მეურნეობას, წლების განმავლობაში ზრუნავდა მამკვიდრებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე და მის კეთილდღეობაზე, რაც დასტურდება ზეინაბ ქარუმიდის მეზობლების მიერ.

6. ზეინაბ ქარუმიდის გარდაცვალების მომენტში, კანონით გათვალისწინებული ხუთი რიგის მემკვიდრეებიდან არავინ იყო ცოცხალი, ხოლო თავად მამკვიდრებელს ანდერძი არ დაუტოვებია. შესაბამისად, გიორგი არსენიძე შეუდგა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობას.

7. მოსარჩელისთვის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ იგი, როგორც მამკვიდრებლის სისხლით ნათესავი, ასევე მის ჯანმრთელობასა და საჭიროებებზე მზრუნველი პირი, არ ითვლება კანონისმიერ მემკვიდრედ მაშინაც კი, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრულ მემკვიდრეთაგან არც ერთი არ არსებობს. აღნიშნულის საპირისპიროდ, მამკვიდრებლის გარდაცვალებისას, კანონით გათვალისწინებული ხუთი რიგის მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში, ქონება ცხადდება უმკვიდროდ და გადაეცემა სახელმწიფოს ან, ცალკეულ შემთხვევაში, მზრუნველობით დაწესებულებას.

8. მოსარჩელის განცხადებით, საკითხის ამგვარი მოწესრიგებით, ხდება როგორც მამკვიდრებელთან არსებული სისხლით ნათესაური კავშირის, ასევე იმ ფაქტის იგნორირება, რომ მას და მამკვიდრებელს შორის მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა ნათესაური, ოჯახური, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, რაც მოსარჩელის მხრიდან მამკვიდრებლის სიცოცხლეში მის ჯანმრთელობასა და სხვადასხვა საჭიროებებზე ზრუნვაში გამოიხატებოდა.

9. მოსარჩელის პოზიციით, კანონით მემკვიდრეთა რიგების ასეთი კონკრეტიკა, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრების გადასვლას მემკვიდრეთა რიგებს მიღმა დარჩენილ პირებზე და უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს როგორც სუვერენს, წარმოადგენს საბჭოთა სამართალმემკვიდრეობას, იწვევს მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას და ხელს უშლის სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას.

10. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უნდა ადგენდეს კანონით მემკვიდრეთა მეექვსე რიგს, რაც მოსარჩელეს ან მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს, წინა ხუთი რიგის მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში მისცემდა უმკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღების შესაძლებლობას.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი და 1343-ე მუხლის პირველი ნაწილი (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებულ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს.

12. №1796 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელისათვის ასევე პრობლემურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილით (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) დადგენილი ის ალტერნატიული დანაწესი, რომლის თანახმად, თუკი არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ან/და, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, სამკვიდრო გადადის არა სახელმწიფოს, არამედ მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა საკუთრებაში, თუკი მამკვიდრებელი მათ რჩენაზე იმყოფებოდა. მოსარჩელის პოზიციით, უნდა დადგინდეს, თანასწორობის უფლების მიზნებისათვის, რამდენად გამართლებულია უმკვიდრო ქონების გადაცემა ზემოაღნიშნულ მზრუნველობით დაწესებულებაზე, მაშინ, როდესაც შორეულ სისხლით ნათესავს, რომელიც ასევე არჩენდა მამკვიდრებელს, სამკვიდრო ქონებაზე ანალოგიური უფლება არ



13. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმით განსაზღვრული მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანიზაციები და მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები, სამკვიდრო ქონების მიღების მიზნებისათვის წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს. მამკვიდრებლის სიცოცხლეში მასზე ზრუნვას, რომელიც სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების წარმოშობის საფუძველია, შესაძლებელია, თანაბრად ახორციელებდეს ორივე სუბიექტი როგორც კანონით განსაზღვრული ვალდებულების, ასევე კეთილი ნების ფარგლებში. შესაბამისად, ამგვარ ქონებაზე საკუთრებითი ინტერესი თანაბრად გააჩნია როგორც მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ისე მოსარჩელეს.

14. მოსარჩელის აღნიშვნით, უმკვიდრო ქონების გადაცემის მიზნებისათვის მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ცალკე გამოყოფას, შესაძლოა, გააჩნდეს კონკრეტული ლეგიტიმური საჯარო მიზანი – ამგვარი ორგანიზაციის ფინანსური გაძლიერება და უმკვიდრო ქონების გადაცემით მისი მომსახურების ხარისხის ამაღლება, თუმცა სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება, დასახელებული მიზნის მიღწევის გამოუსადეგარი და უვარგისი საშუალებაა.

15. მოსარჩელე მხარე მიესალმება სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანიზაციათა წახალისებას და ფინანსურ გაძლიერებას. მიუხედავად ამისა, მისი აზრით, სახელმწიფოს ამგვარი ქმედება არ უნდა ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დიფერენცირების ხარჯზე. მოსარჩელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა მისთვის პრობლემურია იმდენად, რამდენადაც იგი არსებითად თანასწორი სუბიექტებიდან ერთ-ერთს, კერძოდ, მზრუნველობით დაწესებულებებს, ანიჭებს დაუსაბუთებელ უპირატესობას, ხოლო კანონისმიერ მემკვიდრეთა რიგებს მიღმა დარჩენილ შორეულ სისხლით ნათესავებს ან მამკვიდრებელთან განსაკუთრებულ ურთიერთობაში მყოფ სხვა მასზე მზრუნველ პირებს, რომლებსაც არ აქვთ მზრუნველობის განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი, არ აძლევს სამკვიდრო ქონების მიღების შესაძლებლობას, რითაც ადგენს ინტენსიური ხასიათის დისკრიმინაციულ მოპყრობას.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის ის დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს უმკვიდრო ქონების გადაცემას სხვადასხვა მზრუნველობითი დაწესებულების საკუთრებაში, თუკი მამკვიდრებელი მათ რჩენაზე იმყოფებოდა, არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

17. მოსარჩელე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეს უკანასკნელი კი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

2. №1796 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით და ამავე ნორმის სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა,



სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3. №1796 კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის შემდგომ სადავო ნორმამ განიცადა ცვლილება. კერძოდ, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2025 წლის 26 ივნისის №837-IIმს-XIმპ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, 2025 წლის 3 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. სადავო ნორმის ცვლილებამდელი რედაქციის შესაბამისად, „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“. ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, სადავო ნორმამ განიცადა ტექნიკური და გრამატიკული შესწორებები. გარდა ამისა, ტერმინები „მოხუცთა“ და „ინვალიდთა“ ჩანაცვლდა ტერმინებით „ხანდაზმულთა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა“.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მსგავს შემთხვევებში, სადავო ნორმა ითვლება ძალადაკარგულად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“, II-4). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმამ ძალა დაკარგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა *a priori* არ იწვევს აღნიშნულ ნორმაზე სამართალწარმოების შეწყვეტას, თუ მოსარჩელე მხარე აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის №3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10).

6. აღნიშნული პრაქტიკა მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც, ერთი მხრივ, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მიღებულია უფლების მზღუდავი ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, რომელსაც სადავო ნორმის მსგავსად, გააჩნია უფლების შეზღუდვის პოტენციალი, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარჩელე მხარე შუამდგომლობით აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმისწარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

7. თუმცადა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გასაჩივრებული ძალადაკარგული ნორმის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეზე წარმოებას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კანონმდებლობაში ძალადაკარგული ნორმის იდენტური/მსგავსი შინაარსის მქონე დებულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „№3/6/1547 საოქმო ჩანაწერით დადგენილი საქმისწარმოების გაგრძელების წესი ემსახურება სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევას. ბუნებრივია, აზრს მოკლებულია მოსარჩელის პოზიციის გადამოწმება საქმისწარმოების გაგრძელების ინტერესთან დაკავშირებით იმ პირობებში, როდესაც სარჩელის ხსენებულ ნაწილთან მიმართებით, არსებობს არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/15/1462 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, შეაფასებს, ხომ არ არსებობს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი.

8. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად, აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს



საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. აღნიშნული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). ამასთანავე, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც, მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). გარდა ამისა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილებაში საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, უკვე იმსჯელა სადავო ნორმის შესაბამისი ნაწილების კონსტიტუციურობის თაობაზე.

10. კერძოდ, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, №1395 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე მხარისათვის პრობლემური იყო ისეთი მოწესრიგება, რომელიც ითვალისწინებდა მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების მზრუნველობითი დაწესებულებებისათვის გადაცემის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც იგივე წესი არ ვრცელდებოდა ამგვარი სტატუსის არმქონე პირებზე (მათ შორის, მამკვიდრებლის გერზე), როდესაც ისინი ანალოგიური გულისხმიერებითა და ხარჯების გაწევით ზრუნავდნენ მამკვიდრებელზე.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის გასაჩივრებული სიტყვები, რომლებიც ადგენდა მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების გადასვლას სხვადასხვა ტიპის მზრუნველობითი დაწესებულების საკუთრებაში, თუმცა ანალოგიურ წესს არ ავრცელებდა გერთან და იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც სოციალური დაწესებულების სტატუსის არქონის მიუხედავად, მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე, მასზე აღნიშნული დაწესებულებების მსგავსად ზრუნავდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკითხის მსგავსი მოწესრიგება იწვევდა თანასწორ პირთა შორის უთანასწორო მოპყრობას. დიფერენცირება კი არ ექვემდებარებოდა რაიმე გონივრულ გამართლებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60-66).

12. ნათელია, რომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის საკითხი, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, გადაწყვიტა არა მხოლოდ გერთან, არამედ ნებისმიერ პირთან, მათ შორის, მამკვიდრებლის შორეულ სისხლით ნათესავთან მიმართებითაც, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე, მასზე სხვადასხვა სოციალური დაწესებულებების მსგავსად ზრუნავდა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46).

13. შესაბამისად, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, №1796 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი საკითხი უკვე გადაწყვეტილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025



წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილებით და სადავო ნორმის მოსარჩელის მიერ პრობლემურად დანახული ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად არის ცნობილი (მისი ძალადაკარგულად ცნობა გადავადებულია 2026 წლის პირველ ივლისამდე). წინამდებარე კონსტიტუციურ სარჩელში კი არ არის იდენტიფიცირებული რაიმე დამატებითი პრობლემური საკითხი ან მოთხოვნა, რომლის კონსტიტუციურობის თაობაზეც, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია. ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილებაში გამოთქმულ სამართლებრივ პოზიციას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის გამოყენების საჭიროება.

14. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, არსებობს №1796 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

15. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით, განსხვავებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილებაში შეფასებულ საკითხსა და წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში შესაფასებელ მოცემულობას შორის წარმოადგენს სუბიექტის სტატუსი, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონით გათვალისწინებული პირველი ხუთი რიგის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში, უმკვიდრო ქონებაზე საკუთრება უნდა წარმოემვას მას, როგორც მამკვიდრებელთან მჭიდრო ოჯახურ ურთიერთობაში მყოფ პირს და მისი ქონების ფაქტობრივ მფლობელს და არა სახელმწიფოს ან/და მზრუნველობით დაწესებულებას.

16. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს მიღებულ №2/3/1395 გადაწყვეტილებაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა მამკვიდრებლის გერი, რომელიც ზრუნავდა მამკვიდრებელზე და ფაქტობრივად ფლობდა მის ქონებას, ხოლო, წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელეა მამკვიდრებლის შორეული სისხლით ნათესავი, რომელიც ასევე ზრუნავდა მამკვიდრებელზე მის სიცოცხლეში და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, შეუდგა მისი ქონების ფაქტობრივ ფლობას.

17. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლების შეზღუდვის კონტექსტში დაადგინა, რომ მამკვიდრებლის უმკვიდრო ქონების ფაქტობრივი მართლზომიერი მფლობელობა არ ქმნის სუბიექტის იმდენად მყარ სამართლებრივ კავშირს ქონებასთან, რომ აღნიშნული გარემოება შეფასდეს, როგორც უკვე შემენილი საკუთრება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.

18. ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, ხომ არ გააჩნდა მამკვიდრებლის გერს უმკვიდრო ქონების მიღების კანონიერი მოლოდინი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერ საფუძველზე წარმოშობილი ლეგიტიმური მოლოდინი. იმისათვის, რომ მოლოდინი ლეგიტიმურად და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულად ჩაითვალოს, იგი უნდა ემყარებოდეს კანონიერ საფუძველს და წარმოადგენდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი არ ქმნის სახელმწიფოსგან მატერიალური სარგებლის უპირობოდ მოთხოვნის უფლებას. აქ ნაგულისხმევია შემთხვევა, როდესაც მატერიალური სარგებლის მოთხოვნა ემყარება კონკრეტულ, ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

19. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, გერი არასდროს წარმოადგენდა კანონით მემკვიდრეს, ხოლო უმკვიდრო ქონება ყოველთვის მიექცეოდა სახელმწიფოს/ხაზინის საკუთრებაში. შესაბამისად, არასდროს ყოფილა იმგვარი სამართლებრივი მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც, გერს შესაძლებლობა ექნებოდა საკუთრებაში მიეღო უმკვიდრო



ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ იკვეთებოდა კანონიერი საფუძვლის არსებობა, რომელსაც შეიძლებოდა მამკვიდრებლის გერისათვის წარმოეშვა უმკვიდრო, ფაქტობრივ მფლობელობაში მქონე ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ლეგიტიმური მოლოდინი.

20. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცეოდა პირის მფლობელობაში არსებული უმკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, დადგინდა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (იხ., *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30-38).

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სუბიექტების განსხვავებული სტატუსის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მამკვიდრებლის გერთან მიმართებით გამოკვეთილი არგუმენტები, საკუთრების უფლების შეზღუდვის კონტექსტში, თანაბრად მიემართება მამკვიდრებლის შორეულ სისხლით ნათესავს, რომელიც ზრუნავდა მამკვიდრებელზე და მისი გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად ფლობს მის ქონებას.

22. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ, ერთი მხრივ, ამ შემთხვევაშიც მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივი ფლობა ვერ წარმოშობს მოსარჩელის საკუთრების უფლებას უმკვიდრო ქონებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობით, გერის მსგავსად, მამკვიდრებლის შორეული სისხლით ნათესავიც არასდროს წარმოადგენდა კანონით მემკვიდრეს, უმკვიდრო ქონება კი ყოველთვის მიეცეოდა სახელმწიფოს/ხაზინის საკუთრებაში. შესაბამისად, არასდროს ყოფილა იმგვარი სამართლებრივი მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც, მამკვიდრებლის შორეულ სისხლით ნათესავს შესაძლებლობა ექნებოდა საკუთრებაში მიეღო უმკვიდრო ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ იკვეთება კანონიერი საფუძვლის არსებობა, რომელსაც შეიძლებოდა მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის წარმოეშვა უმკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ლეგიტიმური მოლოდინი.

23. შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვასთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, ერთი მხრივ, იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილებაში გამოთქმულ სამართლებრივ პოზიციას, ხოლო, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ წინამდებარე კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელის მხრიდან, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე განსხვავებული ან დამატებითი არგუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენდა სადავო ნორმის საფუძველზე, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არსებობს №1796 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველები.

25. როგორც უკვე აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გასაჩივრებული ძალადაკარგული ნორმის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეზე წარმოებას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მოქმედ კანონმდებლობაში ძალადაკარგული ნორმის იდენტური/მსგავსი შინაარსის მქონე დებულება.

26. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებთან მიმართებით და ამავე ნორმის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით, №1796 კონსტიტუციურ სარჩელზე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქმე უნდა შეწყდეს.



27. №1796 კონსტიტუციური სარჩელით, სადავოდ არის გამხდარი აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

28. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის ამომწურავ ჩამონათვალს და, შესაბამისად, მის მდგომარეობაში მყოფ პირებს, კერძოდ, მამკვიდრებლის შორეულ სისხლით ნათესავებს, რომლებიც ზრუნავდნენ მამკვიდრებელზე მის სიცოცხლეში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ განაგრძობენ მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივ ფლობას, პირველი ხუთი რიგის მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაშიც კი, გამორიცხავს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან.

29. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს მიღებულ №2/3/1395 გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმის კონსტიტუციურობა მემკვიდრეობის უფლებასთან მიმართებით და დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცული მემკვიდრეობის უფლება არ მოიცავს გერის უფლებას, წარმოადგენდეს გარდაცვლილი პირის რომელიმე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მამკვიდრებელსა და გერს შორის არსებობდა მჭიდრო ოჯახური კავშირი და გარდაცვალების მომენტისათვის მამკვიდრებელს არ ჰყავდა კანონისმიერი მემკვიდრე.

30. აღნიშნულ დასკვნამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა კანონისმიერი მემკვიდრეების წრის განსაზღვრისას, კანონმდებლის მიხედულების ფარგლებისა და ამ ფარგლებში შემუშავებული კრიტერიუმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასების შედეგად.

31. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს კანონმდებელი უფლებამოსილია, საკანონმდებლო პრეზუმფციის საფუძველზე, განსაზღვროს პოტენციურ მემკვიდრეთა წრე და რიგითობა. ეს პრეზუმფცია უნდა ემყარებოდეს მამკვიდრებელთა განზოგადებულ, სავარაუდო ნებას და, შესაბამისად, იგი ვერ იქნება მორგებული კონკრეტული მამკვიდრებლის სპეციფიკურ, ინდივიდუალიზებულ სურვილზე/ნებაზე. ამასთანავე, მართალია, საქართველოს კონსტიტუცია კანონმდებელს უტოვებს გარკვეულ დისკრეციულ შესაძლებლობას, კანონით მემკვიდრეობის უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის კუთხით, თუმცა აღნიშნული შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კონსტიტუციით განმტკიცებული მემკვიდრეობის უფლების საერთო სულისკვეთებასთან და, ზოგადად, კონსტიტუციურ წესრიგთან. მათ შორის, კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც კანონმდებელი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტთა წრეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18).

32. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონით მემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგებისას, სამართლის აღნიშნული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონის განჭვრეტადობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებს. შესაბამისად, კანონი, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მარტივად უნდა იძლეოდეს იმის გარკვევის შესაძლებლობას, ვინ და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს კანონისმიერი მემკვიდრე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მამკვიდრებლის განზოგადებული სავარაუდო ნება და საოჯახო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებები (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19).

33. სადავო ნორმა კანონით მემკვიდრეთა წრეს მიაკუთვნებს სისხლით ნათესავთა შეზღუდულ კატეგორიას (შვილი, მშობელი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი, და-მმა, დისწული, ძმისწული, ბებია, პაპა, ბებიის და პაპის დედ-მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი) და იმ პირებს, რომელთან ერთადაც ოჯახის შექმნის სურვილი სიცოცხლეშივე სამართლებრივად დასტურდება მამკვიდრებლის მხრიდან – მეუღლე და ნაშვილები.

34. სისხლით ნათესაური კავშირი წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეობით სამართალში საერთაშორისოდ აღიარებულ, პრაქტიკულ, ობიექტურ და განჭვრეტად საზომს, რომლის საფუძველზეც, შესაძლებელია კანონით მემკვიდრეთა წრისა და მათი რიგითობის განსაზღვრა. აღნიშნულ კრიტერიუმს საფუძვლად უდევს კანონისმიერი მემკვიდრეობითი სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე



პრეზუმცია, რომ მამკვიდრებლის სავარაუდო ნება იქნებოდა მისი ქონების გადასვლა მისსავე სისხლით ნათესავებზე. ამასთანავე, კვლავ მამკვიდრებლის სავარაუდო ნების მხედველობაში მიღებით კანონით მემკვიდრეობა სისხლით ნათესავებზეც ვრცელდება არა უსასრულოდ, არამედ შეზღუდულად, აღმავალი და დაღმავალი შტოს სისხლით ნათესავთა ახლო წრეზე, კერძოდ, იმ პირთა კატეგორიაზე, ვისთანაც, როგორც წესი, მამკვიდრებელს სიცოცხლეში აქვს ფაქტობრივი და მჭიდრო ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლისთვისაც ხელშესახებია ვარაუდი მამკვიდრებლის მიერ მათთვის სამკვიდროს დატოვების ნებასთან დაკავშირებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21).

35. რაც შეეხება კანონით მემკვიდრეებს, რომლებიც არ არიან მამკვიდრებლის სისხლით ნათესავები (მეუღლე, ნაშვილები), დასახელებული ინსტიტუტების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქორწინება, ისევე, როგორც ბავშვის შვილად აყვანა, ხდება მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში გამოვლენილი აშკარა, სამართლებრივად დადასტურებადი ნების საფუძველზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ლოგიკური და განჭვრეტადობის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია იმის პრეზუმირება, რომ ქონების აღნიშნული პირების საკუთრებაში გადასვლა თანხვედრაში იქნება მამკვიდრებლის ნებასთან (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22).

36. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, 2025 წლის 19 სექტემბერს მიღებულ №2/3/1395 გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებლის მიერ კანონით მემკვიდრეთა დადგენისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო კრიტერიუმები, ისევე, როგორც სადავო ნორმაში ამ კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრული მემკვიდრეობის მიმღებ პოტენციურ სუბიექტთა წრე არის გონივრული, შეესაბამება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული (კანონისმიერი) მემკვიდრეობითი სამართლის ზოგად სტანდარტებს და არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მემკვიდრეობის უფლებასთან (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23).

37. დასახელებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის მიღმა მყოფი პირის (მოცემულ შემთხვევაში, გერის) მამკვიდრებელთან თანაცხოვრებისა და მასზე ზრუნვის ფაქტი, ვერ გახდებოდა ამ პირის კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეში შეყვანის საფუძველი და ვერ აქცევდა მას კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტად საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მამკვიდრებელთან ერთად მცხოვრებ ყველა პირს, რომლებიც ასევე ვერ აკმაყოფილებენ კანონმდებლის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს, გაუჩნდებოდათ იგივე მოთხოვნა. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა კი, ბუნდოვანს გახდიდა იმას, რა შემთხვევაში და ვის ხელში შეიძლებოდა გადასულიყო სამკვიდრო ქონება. კანონისმიერი მემკვიდრეების წრის და რიგითობის განსაზღვრისას, კანონმდებელს მოუხდებოდა არა ზოგადი პრეზუმციით ხელმძღვანელობა, არამედ ინდივიდუალურ შემთხვევებზე ორიენტირება და ფაქტობრივი მოცემულობების გათვალისწინება, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა კანონისმიერი მემკვიდრეობის სამართლის თანმდევ, კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ამგვარი შემთხვევებისთვის, კანონმდებლობა ითვალისწინებს, ანდერძის მეშვეობით, სამკვიდრო ქონების განკარგვის შესაძლებლობას და სხვა მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით, მამკვიდრებელს შეუძლია, მისთვის სასურველი პირი აქციოს საკუთარი ქონების პოტენციურ მემკვიდრედ/მესაკუთრედ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის №2/3/1395 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

38. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მემკვიდრეობის უფლების კონტექსტში გადაწყვეტილი აქვს სადავო ნორმის საფუძველზე, კანონმდებლის მიერ კანონისმიერ მემკვიდრეთა კრიტერიუმებთან და წრესთან მიმართებით შემუშავებული მოწესრიგების კონსტიტუციურობის საკითხი. ამ მსჯელობის ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გონივრულად და კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია კანონმდებლის გადაწყვეტა, მათ შორის, იმასთან დაკავშირებით, რომ კანონისმიერ მემკვიდრეებად განსაზღვრულია სისხლით ნათესავთა შეზღუდული კატეგორია, აღმავალი და დაღმავალი შტოს სისხლით ნათესავთა ახლო წრე, ვისთანაც, როგორც წესი, მამკვიდრებელს სიცოცხლეში აქვს ფაქტობრივი და მჭიდრო ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე,



კანონმდებლისთვისაც ხელშესახებია ვარაუდი მამკვიდრებლის მიერ მათთვის სამკვიდროს დატოვების ნებასთან დაკავშირებით.

39. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის მიღმა მყოფი პირის მამკვიდრებელთან თანაცხოვრებისა და მასზე ზრუნვის ფაქტი, ვერ გახდება ამ პირის კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეში შეყვანის საფუძველი და ვერ აქცევს მას კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტად საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის.

40. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში და, მათ შორის, ევროპის კონტინენტზე არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მიუხედავად სისხლით ნათესაობის, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტთა წრის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ხელშესახები კრიტერიუმის ფართოდ გავრცელებისა, არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმის შესახებ, სისხლით ნათესავთა რომელ კატეგორიამდე უნდა ხდებოდეს სამკვიდროს გადაცემა (იხ., European e-Justice Portal, „Succession – Information on national rules and cross-border succession“, European Commission (latest update: 04/04/2024), ხელმისაწვდომია: https://e-justice.europa.eu/topics/family-matters-inheritance/inheritance/succession_en). გამონაკლის შემთხვევებში, სამკვიდროს მიმღებ სისხლით ნათესავთა ჩამონათვალი არ არის შეზღუდული და შორეულ სისხლის ნათესავებსაც მოიცავს, თუმცა სახელმწიფოთა უმეტესობაში, სამკვიდროს მიმღებ სისხლით ნათესავთა ჩამონათვალი შემოსაზღვრულია ნათესავთა კონკრეტული კატეგორიით (როგორც წესი, დიდი ბაბუის/ბებუის შვილებით; ბიძაშვილის/დეიდაშვილის/მამიდაშვილის შვილებით) და არ ვრცელდება ისეთ შორეულ ნათესავებზე, როგორიც მოსარჩელეა.

41. დამატებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გერსა და დედინაცვალს/მამინაცვალს შორის შესაძლოა, არსებობდეს პირობადებული ურთიერთრჩენის ვალდებულება, ისეთ შორეულ სისხლით ნათესავებს შორის, როგორიც მოსარჩელე და მამკვიდრებელია, რაიმე მსგავსი ვალდებულება არ არსებობს. ანალოგიურად, გერისგან განსხვავებით, შორეული სისხლით ნათესავი არც სისხლის სამართლის მიზნებისათვის ითვლება პირის ოჯახის წევრად.

42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში გამოთქმულ მოსაზრებებს და მასში განვითარებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მსგავსი შორეული სისხლით ნათესავის მემკვიდრეთა წრეში შეყვანა არ არის საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა. სხვა სიტყვებით, საქართველოს კონსტიტუცია არ ითხოვს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირი მოიაზრებოდეს კანონით მემკვიდრეობის მიმღებ სუბიექტად, ამ პირის მიერ მამკვიდრებელთან თანაცხოვრებისა და მასზე ზრუნვის შემთხვევაში კი. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავსი პირის კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეში გაუთვალისწინებლობა, ექცევა კანონმდებლის მიხედულების ფარგლებში და არ ეწინააღმდეგება მემკვიდრეობის კონსტიტუციური უფლების ირგვლივ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს.

43. დამატებით, აღსანიშნავია, რომ თავად მოსარჩელე მხარე, №1796 კონსტიტუციურ სარჩელში საკუთარი მოთხოვნის ჩამოყალიბებისას, ძირითადად, იშველიებდა №1395 კონსტიტუციურ სარჩელში განვითარებულ მსჯელობას. მას არ წარმოუდგენია რაიმე დამატებითი არგუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენდა კონსტიტუციის მოთხოვნას, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით, ქონების მიმღებ სუბიექტთა წრეში მოქცევის თაობაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს დაანახებდა აშკარა და ცხად შინაარსობრივ მიმართებას სადავო ნორმით დადგენილ რეგულაციასა და მოსარჩელის მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვას შორის.

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1796 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით, არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით.



III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 27¹ მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31² მუხლის მე-8 პუნქტის, 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, 31⁵ მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31⁶ მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე და 47-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს:

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1796 კონსტიტუციური სარჩელი („გიორგი არსენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

2. შეწყდეს საქმე №1796 კონსტიტუციურ სარჩელზე („გიორგი არსენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების: „ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

4. განჩინებას დაერთოს მოსამართლე თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტთან მიმართებით.

5. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

გიორგი მოდებაძე

თეიმურაზ ტულუში

